ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ N 4

წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია "26 " მარტი 2013წ

1. ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:
" ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვიხ შესახებ" (შემდგომ ---- "ხელშეკრულება") – "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებითი და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.
"შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომში "შემსყიდველი") ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას) , რომელიც ახორციელებს შესყიდვებს.
"მიმწოდებელი "ნიშნავს იურიდიულ ან ფიზიკურ პირს, რომელმაც შემსყიდველთან გააფორმა ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ.
"ხელშეკრულების ღირებულება" ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის:
"დღე" "კვირა" "თვე" ნიშნავს კალენდარული დღეს, თვეს, კვირას თუ ხელშეკრულებით სხვა პირობა არ არის გათვალისწინებული.

2. ხელშეკრულების დამდები მხარეები

წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია:
ერთი მხრივ დუშეთის მუნიციპალიტეტის ალ. როინაშვილის სახ. საბიბლიოთეკო გაერთიანება, ს/კ 229325717, ა.ა.120178350025000, სს "ლიბერთი ბანკის" დუშეთის ფილიალი ბ.კ.220101403 (შემდგომში "შემსყიდველი")
(შემსყიდველის დასახელება და რეკვიზიტები)

მეორეს მხრივ- შპს "გლობუსი", ს/კ 202446969, საქართველოს ბანკი, ბანკის კოდი BAGAGE22, ანგარიშის ნომერი–GE72BG0000000193217500, მისამართი–თბილისი, წერეთლის 141ა

3.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს – საკანცელარიო ნივთების შეძენა, 30192700
შესყიდვა გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

4 ხელშეკრულების ღირებულება

მისაწოდებელი საქონლის (გასაწევი მომსახურების) საერთო ღირებულება შეადგენს–100.00 ლარს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი გადასახადების გათვალისწინებით.

ა. შესასყიდი საქონლის (გასაწევი მომსახურების) ერთეულის ფასი
ბ. საქონლის მიმწოდებელი (მომსახურება გაწეული) იქნება შემდეგ მისამართზე:

5.მხარეთა უფლება-მოვალეობანი:

5.1 მიმწოდებელი ვალდებულია: ხელშეკრულების პირობების დაცვით
ყოველდღიურად (ყოველთვიურად) განახორციელოს ----------
საქონლის მიწოდება (მომსახურება) იგი პასუხისმგებელია მიწოდებული საქონლის (გაწეული მომსახურების) ხარისხსა და ვარგისიანობაზე (დროულობაზე).
5.2 შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში აუნაზღაუროს მას შესყიდული საქონლის (გაწეული მომსახურების) ღირებულება.
5.3 შემსყიდველი არ აგებს პასუხს მიმწოდებლის მიერ მესამე პირებისათვის მიყენებულ ზიანზე ან ზარალზე.
5.4 შემსყიდველი არ აგებს პასუხს მიმწოდებლის მიერ მესამე პირის მიმართ ნაკისრ ვალდებულებებზე.
5.5 მიმწოდებელი არ აგებს პასუხს შემსყიდველის მიერ მესამე პირის მიმართ ნაკისრ ვალდებულებებზე.

6. მომსახურების მიღება – ჩაბარების წესი
6.1 საქონელი მიწოდებულად (მომსახურება გაწეულად) ჩაითვლება ყოველკვარტალურად (ყოველთვიურად) შესაბამისი "მიღება - ჩაბარების" აქტის გაფორმების შემდეგ.

7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

7.1 მიმწოდებლის მიერ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებისა და მასში შემავალი დოკუმენტების პირობების შესრულებაზე კონტროლს განახორციელებს --------

---------- ბრძანების საფუძველზე შექმნილი ინსპექტირების ჯგუფი:
(მაკონტროლებელი ორგნო)

(პიროვნების სახელი, გვარი.)

8. მიწოდებული საქონლის (გაწეული მომსახურების) ხარისხი და გარანტია

8.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მის მიერ მიწოდებული საქონელი (გაწეული მომსახურება) არ იქნება დაზიანებული (არ გამოავლენს ხარვეზებს) და იქნება მოხმარებისათვის ვარგისი (შესრულებული იქნება მაღალხარისხოვნად), წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ვალდებულია საკუთარი სახსრებით თავად უზრუნველყოს დაზიანებული და უვარგისი საქონლის შეცვლა (გამოვლენილი ხარვეზების გამოსწორება).

9. ანგარიშსწორება

9.1 ანგარიშწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში.
9.2 ანგარიშწორება მოხდება შესაბამისი "მიღება-ჩაბარების" აქტის გაფორმებიდან 5 საბანკო დღის განმავლობაში.
9.3 ანგარიშწორების ფორმა იქნება უნაღდო (ნაღდი). გადარიცხვა მოხდება მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე.

10. ფასები

10.1 ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრის შეცვლა,ხელშეკრულების მთელი მოქმედების განმავლობაში, დსაშვებია საცალო ფასის (გააწეი მომსახურების განსაზღვრული ფასის) გაზრდის ან შემცირების, ინფლაციის მაღალი დონის, სავალუტო კურსის მნიშვნელოვანი ცვლილების, საგადასახადო რეჟიმის შეცვლისა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლში გათვალისწინებული პირობების შემთხვევაში, თუ აღნიშნული ცვლილებები არ გამოიწვევს ხელშეკრულების პირობების გაუარესებას შემსყიდველი ორგანიზაციისთვის.

10.2 ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ღირებულების გაზრდის შემთხვევაში მისმა ოდენობამ არ უნდა გადააჭარბოს ხელშეკრულების ღირებულების ---------- %-ს.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა
11.1 ხელშეკრულების დამდებ არცერთ მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

11..2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს, შემსყიდველი არ არის ვალდებული წარმოუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლის გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

11..3 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.
12. უფლებების გადაცემა.
12.1 მიმწოდებელს არა აქვს უფლება შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე, მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობა

13. სუბ-კონტრაქტორები
13.1 იმ შემთხვევაში, თუ სუბ-კონტრაქტორების დადების ან სუბ-კონტრაქტორების შეცვლის აუცილებლობა წარმოიშობა ხელშეკრულების შესრულების პროცესში, მიმწოდებელმა წერილობით უნდა აცნობოს შმსყიდველს ზემოაღნიშნულის შესახებ და მიიღოს მისგან წერილობითი თანხმობა.

13.2 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა სუბ-კონტრაქტორების ასლი უნდა წარედგინოს შემსყიდველს მისი გაფორმებიდან ერთი კვირის ვადაში.

13.3 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული არცერთი სუბ-კონტრაქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

14. ფორს – მაჟორი.

14.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და მიმწოდებლისათვის ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას.

14.2 ამ მუხლის მიზნებისათვის "ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არის დამოკიდებული მხარეთა შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იყოს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბაჟო ტარიფების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

14.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავის შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები,რომლებიც დამოუკიდებულნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

15 მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის

15.1 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულების 5.1 პუნქტით გათვალისწინებული ვადების დარღვევის შემთხვევაში მას დაეკისრება პირსაგამტეხლო ყოველ ვადაგააცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 1%-ის ოდენობით.

15.2 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, პირსაგამტეხლოს გადახდა განხორციელდება მიმწოდებელზე ხელშეკრულებით გადასახდელი თანხიდან გამოქვითვის საშუალებით.

15.3 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

16. ხელშეკრულების შეწყვეტა

16.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

16.2 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს, მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების არიღი. აღნიშნული შეტყობინება უნდა მიეწოდოს მეორე მხარეს გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე მინიმუმ ერთ თვით ადრე.

16.3 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

16.4 ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

16.5 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგნა დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
ბ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

16.6 ამ მუხლის მე-5 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულება.

17. დავების გადაწყვეტის წესი

17.1 ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზე,რომ ყველა ღონეს იხმარენ რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკების მეშვეობით შეთანხმებით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ.

17.2 თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შესძლებენ სადაო საკითხების შეთანხმებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლი დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

18. სხვა პირობები

18.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან

და მოქმედებს 2013 წლის 15 აპრილი
(რიცხვი,თვე, წელი)

18.2 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად და ორივეს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა.

შემსყიდველი ორგანიზაცია: აიპ დუშეთის მუნიციპალიტეტის ალ.როინაშვილის სახ. საბიბლიოთეკო

გაერთიანება-ს/კ 229325717, ა.ა.120178350025000, სს "ლიბერთი ბანკის" დუშეთის ფილიალი ბ.კ.220101403

დირექტორი: /ი. წამალაძე/

შპს "გლობუსი", ს/კ 202446969, საქართველოს ბანკი, ბანკის კოდი BAGAGE22, ანგარიშის ნომერი– GE72BG0000000193217500, მისამართი–თბილისი, წერეთლის 141ა